ოქმი N3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომის

ქ. ოზურგეთი
2020 წლის 23 ივნისი
15 საათი

თავმჯდომარეობდა: ლელა საჯაია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;

ესწრებოდნენ: ქეთევან ვასაძე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი; საბჭოს წევრები: მარიკა ჩხიკვიშვილი, გელა არუშიძე, ხათუნა ცერცვაძე, ნანული ორაგველიძე, როზეტა სკამკოჩაიშვილი, გელა ჩავლეშვილი, ლალი სიჭინავა, მაია ზოიძე, ბახვა დოლიძე, ლევან ნინიძე, გენო ჩავლეშვილი, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე ლელა საჯაია მიესალმა საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ საბჭოს მუშაობას ესწრება ყველა წევრი და საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 13 ხმით.

დღის წესრიგი:

1. ფონდი „სოხუმის" გამოცდილება ადგილობრივ თვითმმართველობებში გენდერულად ორიენტირებული პოლიტიკის დანერგვის საქმეში; ფონდი „სოხუმის", ახალი პოლიტიკური დოკუმენტის პრეზენტაცია - „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თვითმმართველობების როლი და პრაქტიკა" - მოღწევები, გამოწვევები და მათზე რეაგირების შესაძლო გზები;
   მომხსენებელი: ლელა საჯაია;
   თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე;

საბჭოს თავმჯდომარემ ლელა საჯაიამ სხდომის დამსწრე პირებს ესაუბრა ტრენინგის შესახებ, რომელიც ჩატარდა ქ. ბორჯომში კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდის ,,სოხუმი"-ს ორგანიზებით მიმდინარე წლის 17-18-19 ივლისს დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის.

ტრენინგს ესწრებოდნენ წარმომადგენლები საქართველოს 11 მუნიციპალიტეტიდან. ასევე მის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ კოლეგებს პრეზენტაციის ფორმატში გააცნო ფონდი „სოხუმის" გამოცდილება ადგილობრივ თვითმმართველობებში გენდერულად ორიენტირებული პოლიტიკის დანერგვის საქმეში;

საბჭოს წევრებმა მიწოდებული ინფორმაცია მიიღეს ცნობის სახით სარეკომენდაციოდ და შემდგომ მუშაობაში გასათვალისწინებლად.

2. მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის

მიმართულებით განხორციელებული პროგრამები და სამომავლო გეგმები - მიღწევები, არსებული გამოწვევები, კოორდინაციის გაუმჯობესების მიმართულები სამომავლო გეგმები;

მომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე;

თანამომხსენებელი : ლელა საჯაია;

მომხსენებელმა მარინა ჯაფარიძემ ისაუბრა ქუთაისის, ხონის, წყალტუბოს, თერჯოლის, ზუგდიდის, სენაკის, წალენჯიხის, ფოთის, ლანჩხუთის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, არსებულ გამოწვევებსა და მიღწევებზე.

საკითხის განხილვა გაგრძელდა დისკუსიის ფორმატში. თემის ირგვლივ აზრი გამოთქვეს: მ. ჩხიკვიშვილმა, ლ.სიჭინავამ. გ. ჩავლეშვლმა, მ.ზოიძემ.

3. რწმუნებულის ადმინისტრაციის როლი მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების და ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის დანერგვის უზრუნველსაყოფად-არსებული პრაქტიკა და გამოწვევები;

მომხსენებელი : ნანა ჯახუტაშვილი;

თანამომხსენებელი: ლელა საჯაია;

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის აპარატში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა ნანა ჯახუტაშვილმა ვრცლად ისაუბრა მთავრობის ადმინისტრაციის გენდერულ განყოფილებასთან აქტიური კომუნიკაციის და სამომავლო გეგმების შესახებ. მან ყურადღება გაამახვილა გენდერული თანასწორობის საბჭოს, მერიაში და რწმუნებულის ადმინისტრაციაში გენდერზე პასუხისმგებელ პირებს შორის კომუნიკაციის პრობლემებზე და აღნიშნა, რომ თითოეულმა უწყებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ კომუნიკაციის და კოორდინაციის პრობლემების მიზეზების კვლევას და პრობლემის აღმოფხვრას, რაც წარმატებული პრაქტიკის შექმნის მყარ გარანტიად დაასახელა. საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს მომხსენებლის კრიტიკულ შენიშვნას და გამოთქვეს მზაობა სამხარეო ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა;

ლელა საჯაია----------/ლ.საჯაია/

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე